

შპს “პარვეს ჯგუფი”  
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის  
დასრულებული საანგარიშო წლის მდგომარეობით  
ინფორმაცია წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში  
(ლარში)



შპს პარვეს ჯგუფი

## სარჩევი

|                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------|----|
| კომპანიის ზოგადი ინფორმაცია.....                                | 2  |
| კომპანიის საქმიანობა .....                                      | 2  |
| ფინანსური მდგომარეობა .....                                     | 4  |
| ინფორმაცია კომპანიის ფულადი სახსრების შესახებ.....              | 8  |
| ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების შესახებ.....           | 8  |
| ინფორმაცია გადახდილი ავანსების შესახებ .....                    | 9  |
| ინფორმაცია კომპანიის მარაგების შესახებ .....                    | 9  |
| ინფორმაცია სასესხო მოთხოვნების შესახებ .....                    | 10 |
| ინფორმაცია კომპანიის ძირითადი საშუალებების შესახებ.....         | 10 |
| ინფორმაცია კომპანიის იჯარით აღებული ქონების შესახებ.....        | 13 |
| ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების შესახებ .....       | 13 |
| ინფორმაცია კომპანიის საგადასახადო გადასახადების შესახებ .....   | 14 |
| ინფორმაცია კომპანიის სასესხო ვალდებულებების შესახებ .....       | 14 |
| ინფორმაცია სამშენებლო ხელშეკრულებიდან მიღებულ შემოსავალზე ..... | 18 |
| ინფორმაცია სხვა შემოსავლების შესახებ.....                       | 18 |
| ინფორმაცია გაწეული ხარჯების შესახებ (დეტალური) .....            | 19 |
| წმინდა ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოსთვის .....                 | 24 |
| კაპიტალი.....                                                   | 26 |
| რისკების მართვა.....                                            | 27 |



დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

## კომპანიის ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარვუს ჯგუფი, საიდენტიფიკაციო კოდი 400266519, რეგისტრირებული 2019 წლის 14 მაისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის IIIა მ/რ, კორპ. 22, ბ. 107.

ხელმძღვანელი - სულხან ზუმბურიძე, 01017002641, დირექტორი

პარტნიორები: მამუკა პაპუაშვილი, 01006001705, წილი 50%

სულხან ზუმბურიძე, 01017002641, წილი 50%

## კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგებს ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ. კომპანია, 2020 წელში, ახორციელებდა სამშენებლო საქმიანობას. მან ააშენა სკოლა შატილში და დაიწყო თავისი საკუთარი მცირე ელექტრო სადგურების მშენებლობა ღუშეთის რ-ნი სოფელ როშკაში. ასევე შპს „პარვუს ჯგუფ“-მა 2020 წელში განახორციელა ინტერნეტიზაციის პროექტი გურიაში, კერძოდ ოზურგეთში, რომელიც გადასცა ააიპ „ოუფენ ნეტ“-ს.

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში. შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში არსებული და მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები დროდადრო ვითარდება., მათი ინტერპრეტაციები სრულიად განსხვავებულია და ისინი ხშირი ცვლილებების საგანს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ისინი საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პარვეს ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას მცირე და საშუალოსაწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. რაც ასახავს კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკას მის ფასს-ის საფუძველზე.

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მის ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მის ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საადრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით), რომელის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები. სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან

არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);

დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა, ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში – იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ-19 „ანგარიშების ვალუტა: ფინანსური ანგარიშების შეფასება და წარდგენა ბასს-21 და ბასს-29-ის შესაბამისად“. წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრულია, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, სწორედ იგი გამოიყენებოდეს, როგორც შეფასების ვალუტა. თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

## ფინანსური მდგომარეობა

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       |                   |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|
|                                                                                             |                   |
| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                | <b>31/12/2020</b> |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 5933402           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 925               |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 563477            |
| მარაგები                                                                                    | 5404964           |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0                 |
| სხვა                                                                                        | 5404964           |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0                 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 507359            |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0                 |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0                 |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0                 |
| გუდვილი                                                                                     | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 0                 |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 3140622           |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0                 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 303216            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 0                 |
| სულ აქტივები                                                                                | 15853965          |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                   |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 25972             |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 2924879           |
| ანარიცხები                                                                                  | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 153242            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 0                 |
| გამომუშავებული შემოსავალი                                                                   | 4246481           |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 25000             |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 5632620           |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 0                 |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 13008194          |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                   |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0                 |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 786311            |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0                 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 2059460           |

|                                        |          |
|----------------------------------------|----------|
| სულ საკუთარი კაპიტალი                  | 2845771  |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 15853965 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები              | 12410127 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები         | 0        |

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



| ფინანსური მდგომარეობა                                                                       |                   |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                | <b>31/12/2020</b> |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 5933402           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 925               |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 563477            |
| მარაგები                                                                                    | 5404964           |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0                 |
| სხვა                                                                                        | 5404964           |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0                 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 507359            |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0                 |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0                 |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0                 |
| კუდილი                                                                                      | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 0                 |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 3140622           |
| ინვესტიციები შილობილ კომპანიებში                                                            | 0                 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 303216            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 0                 |
| სულ აქტივები                                                                                | 15853965          |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                   |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 25972             |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 2924879           |
| ანარიცხები                                                                                  | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 153242            |
| სატადასახადო ვალდებულებები                                                                  | 0                 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  | 4246481           |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 25000             |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 5632620           |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 0                 |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 13008194          |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                   |
| სააქციო კაპიტალი (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კომპერატორის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0                 |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 786311            |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0                 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 2059460           |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 2845771           |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 15853965          |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 12410127          |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 0                 |

დირექტორი  
მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

## ინფორმაცია კომპანიის ფულადი სახსრების შესახებ

შპს „პარვუს ჯგუფის“ საბანკო ანგარიშზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული თანხა განსაზღვრული იყო მცირე ელექტროსადგურების მშენებლობისთვის, რომელსაც შპს „პარვუს ჯგუფი“ აშენებს საკუთარი მიზნებისთვის. მშენებლობისათვის საჭირო თანხა დაფინანსებულია ბანკის მიერ, თანხა აღებულია სესხად.

## ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების შესახებ

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა სავაჭრო მოთხოვნები ჯამში 925 ლარის ოდენობით. რომელიც დავალიენებად არის დარჩენილი ოზურგეთის ინტერნეტიზაციის პროექტიდან.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



## ინფორმაცია გადახდილი ავანსების შესახებ

შპს „პარვეს ჯგუფს“, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდილი ავანსი ჰქონდა 563477 ლარი, რომელიც წარმოიშვა ადგილობრივ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების შედეგად. ავანსები გაცემულია მომწოდებელ კომპანიებთან, რომლებიც ახორციელებენ სამშენებლო სამუშაოებს მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით.

## ინფორმაცია კომპანიის მარაგების შესახებ

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა მარაგები 5404964 ლარის ოდენობით. რომელიც 2020 წლის ბოლოსთვის ჯერ არ იყო გამოყენებული. როგორც უკვე მოგახსენეთ, კომპანიამ 2020 წელს დაიწყო ინტერნეტიზაციის პროექტი და მარაგებში ჰქონდა ის საქონლი/აქტივი, რაც შემდგომ წელში უნდა გადაეცა ააიპ „ოუფენ ნეტივსის“.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



## ინფორმაცია სასესიო მოთხოვნების შესახებ

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „პარვეს ჯგუფს“ ჰქონდა სასესიო მოთხოვნები ჯამში 31425 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს სესხის ძირს და პროცენტს. სესხი, შპს „პარვეს ჯგუფმა“ გასცა ლარში, თავის დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე და თავის შვილობილ კომპანიაზე შპს „პარვეს“-ზე სესხის ძირი და პროცენტი ეტაპობრივად/ტრანშებად ირიცხებოდა და პროცენტი ერიცხებოდა საქართველოში არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბერს გვქონდა შემდეგი სურათი:

| კომპანია          | სესხის<br>გაცემის<br>დაწყების<br>თარიღი | სესხის ძირი<br>31.12.2020 | სესხის<br>პროცენტი<br>31.12.2020 | სულ ჯამი         |
|-------------------|-----------------------------------------|---------------------------|----------------------------------|------------------|
| შპს პარვესი       | 14.07.2019                              | 957.36                    | 49.8                             | 1,007.16         |
| მამუკა პაპუაშვილი | 07.11.2019                              | 15,000.00                 | 209.02                           | 15,209.02        |
| სულხან ზუმბურიძე  | 07.11.2019                              | 15,000.00                 | 209.02                           | 15,209.02        |
| <b>ჯამი</b>       |                                         | <b>30,957.36</b>          | <b>467.84</b>                    | <b>31,425.20</b> |

## ინფორმაცია კომპანიის ძირითადი საშუალებების შესახებ

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის ღირებულება ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:



დირექტორი




მთავარი ბუღალტერი

- შენობა-ნაგებობები 25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 7-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-10 წელი
- ავეჯი 12-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

შპს პარკუს ჯგუფს გააჩნია ძირითადი საშუალებები. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. გთხოვთ იხილოთ ცხრილი, სადაც ასევე მოცემულია ქონების გადასახადის კალკულაცია:

| 2020 წლის ქონება (პარკუს ჯგუფი)    |              |            |            |            |              |            |              |              |                    |                    |           |           |
|------------------------------------|--------------|------------|------------|------------|--------------|------------|--------------|--------------|--------------------|--------------------|-----------|-----------|
| დასახელება                         | usefull life |            | შეძენა     | წლის ბოლო  | დღეები       | ღირებულება | ცვეთა        | საბალანსო    | ქონების ღირებულება | ქონების გადასახადი | რაოდენობა | კომენტარი |
| Lenovo IO 330 15IKB                | 3            | 2          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 1,755.55   | 877.77       | 877.77       | 1,316.66           | 13.17              | 1         | 2019      |
| HP 440 G6 UMA i5                   | 3            | 2          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 1,985.00   | 992.50       | 992.50       | 1,488.75           | 14.89              | 1         | 2019      |
| OMEN by HP/Camora                  | 3            | 2          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 2,755.09   | 1,377.55     | 1,377.55     | 2,066.32           | 20.66              | 1         | 2019      |
| 7VY01EA HP Pavilion i5             | 3            | 2          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 4,375.66   | 2,187.83     | 2,187.83     | 3,281.75           | 32.82              | 1         | 2019      |
| სავარძელი 209                      | 5            | 4          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 2,674.25   | 668.56       | 2,005.68     | 2,339.97           | 23.40              | 12        | 2019      |
| ავზი უნიტაზის პლასტმასის           | 5            | 4          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 301.35     | 75.34        | 226.02       | 263.68             | 2.64               | 1         | 2019      |
| Toyota 105                         | 5            | 4          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 38,210.31  | 9,552.58     | 28,657.73    | 33,434.02          | 334.34             | 1         | 2019      |
| Ford Pick-up                       | 5            | 4          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 45,332.85  | 11,333.21    | 33,999.64    | 39,666.25          | 396.66             | 1         | 2019      |
| Toyota 200                         | 5            | 4          | 12/31/2019 | 12/31/2020 | 366          | 77,284.66  | 19,321.16    | 57,963.49    | 67,624.08          | 676.24             | 1         | 2019      |
| თოვლსაწმენდი მანქანა               | 5            | 4          | 12/31/2019 | 4/13/2020  | 104          | 62,433.94  | 3,292.75     | 59,141.19    | 31,216.97          | 312.17             | 1         | გაყიდულია |
| ბენზო ბერი                         | 5            | 2/25/2020  | 12/31/2020 | 310        | 1,393.22     | 236.01     | 1,157.21     | 578.61       | 5.79               | 5.79               | 1         | 2020      |
| HP pavilion Lannister 19c1 core i5 | 5            | 1/15/2020  | 12/31/2020 | 351        | 6,348.31     | 1,217.63   | 5,130.68     | 2,565.34     | 25.65              | 25.65              | 3         | 2020      |
| სეიფი                              | 5            | 2/5/2020   | 12/31/2020 | 330        | 296.61       | 53.49      | 243.12       | 121.56       | 1.22               | 1.22               | 1         | 2020      |
| HP probook 450 G6 Intel core i5    | 5            | 3/9/2020   | 12/31/2020 | 297        | 1,939.83     | 314.82     | 1,625.01     | 812.50       | 8.13               | 8.13               | 1         | 2020      |
| HP pavilion Lannister 19c2 core i5 | 5            | 8/3/2020   | 12/31/2020 | 150        | 2,407.63     | 197.35     | 2,210.28     | 1,105.14     | 11.05              | 11.05              | 1         | 2020      |
| სავარძელი 209                      | 5            | 9/2/2020   | 12/31/2020 | 120        | 932.20       | 61.13      | 871.07       | 435.54       | 4.36               | 4.36               | 4         | 2020      |
| K7 compact EU (კერხური)            | 5            | 9/9/2020   | 12/31/2020 | 113        | 1,999.15     | 123.44     | 1,875.71     | 937.85       | 9.38               | 9.38               | 1         | 2020      |
| Suzuki vitara GL+                  | 5            | 1/24/2020  | 12/31/2020 | 342        | 38,970.45    | 7,283.00   | 31,687.45    | 15,843.72    | 158.44             | 158.44             | 1         | 2020      |
| Mitsubishi pajero 2835             | 5            | 5/28/2020  | 12/31/2020 | 217        | 25,520.80    | 3,026.24   | 22,494.56    | 11,247.28    | 112.47             | 112.47             | 1         | 2020      |
| ბეტონმემრევი 2005178, JBC30        | 5            | 7/16/2020  | 12/31/2020 | 168        | 111,694.32   | 10,253.90  | 101,440.42   | 50,720.21    | 507.20             | 507.20             | 1         | 2020      |
| Hyundai HSL 850- 7                 | 5            | 9/14/2020  | 12/31/2020 | 108        | 66,639.60    | 3,932.83   | 62,706.77    | 31,353.39    | 313.53             | 313.53             | 1         | 2020      |
| Total Station                      | 5            | 12/28/2020 | 12/31/2020 | 3          | 21,101.94    | 34.59      | 21,067.35    | 10,533.67    | 105.34             | 105.34             | 1         | 2020      |
| დაუმთავრებელი მშენებლობა           |              |            |            |            | 2,759,824.44 | -          | 2,759,824.44 | 1,379,912.22 | 13,799.12          | 13,799.12          |           |           |
| ჯამი                               |              |            |            |            | 3,276,177.17 | 76,413.69  | 439,939.04   | 308,953.26   | 16,888.65          | 16,888.65          |           |           |

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

## ინფორმაცია კომპანიის იჯარით აღებული ქონების შესახებ

შპს პარვუს ჯგუფს იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი, ქ. თბილისში, კოსტავას 37/39 ნომერში.

ასევე კომპანიას იჯაროთ აქვს აღებული ავტომობილი ფიზიკური რომელიც ემსახურება კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას. რომლის ყოველთვიური იჯარა არის 500 ლარი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ასევე ნაქირავები ჰქონდა სასაწყობო ფართი, მოსკოვის გამზირზე ნ 25-ში.

## ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების შესახებ

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შპს პარვუს ჯგუფის ვალდებულება მომწოდებლების მიმართ არის 2,924,879.00 ლარი, საიდანაც დიდი ნაწილი, 1,253,832.5 ლარის ვალდებულება კომპანიას ჰქონდა ოზურგეთის ინტერნეტიზაციის პროექტში მონაწილე კომპანიის მიმართ, რომელიც აწვდიდა სამშენებლო მასალებს. 779,022.38 ლარი კი ოზურგეთის ინტერნეტიზაციის პროექტში მონაწილე კომპანიის მიმართ, რომელიც მოწოდებული მასალებით ანხორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს. დანარჩენი ნაწილი ვალდებულებიდან იყო დუშეთის რ-ნი სოფელ რომკაში მიმდინარე მცირე სადგურების მშენებლობაში მონაწილე კომპანიების მიმართ ვალები.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



## ინფორმაცია კომპანიის საგადასახადო გადასახადების შესახებ

საზოგადოება, მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85, განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

## ინფორმაცია კომპანიის სასესხო ვალდებულებების შესახებ

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

შპს პარკუს ჯგუფს გააჩნდა სასესხო ვალდებულება მასთან ურთიერთდამოკიდებული კომპანია შპს „პარკუს ნეტი“-ს მიმართ 25000 ლარის ოდენობით (შემდეგში ძირი) და 5,632,620.00 ლარის ოდენობით (შემდეგში ძირი) ბანკის მიმართ. ბანკიდან სესხი აღებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზნით.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

| საქმიანობის შედეგები                                                                                                              |                   |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|
|                                                                                                                                   |                   |
| <b>საქმიანობის შედეგები</b>                                                                                                       | <b>31/12/2020</b> |
| ნეტო ამონაგები                                                                                                                    | 2828958           |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                               | 0                 |
| მომსახურების გაწევიდან                                                                                                            | 0                 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                                                      | 2828958           |
| სხვა                                                                                                                              | 0                 |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                                         | 0                 |
| საწყისი მარაგები                                                                                                                  | 0                 |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                                | 0                 |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                                         | 0                 |
| საბოლოო მარაგები                                                                                                                  | 0                 |
| საერთო მოგება                                                                                                                     | 2828958           |
